

პირველადი ჯანდაცვის ექიმებში ადიქციებზე ცოდნისა და  
დამოკიდებულების შესწავლა

რუსუდან მესხი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან მესხი

29.06.2022

## აბსტრაქტი

**შესავალი:** ჯანდაცვის სისტემაში, პირველადი ჯანდაცვის ექიმებს აქვთ საშუალება ადრეულ ეტაპზე მოახდინონ დაავადების იდენტიფიცირება და პაციენტის შესაბამის ექიმ-სპეციალისტებთან რეფერირებით უზრუნველყონ სწორი და დროული მკურნალობა. საზოგადოების განათლება და მოსახლეობის ცოდნის ამაღლება იმ ძირითადი რისკ-ფაქტორების შესახებ, რომელიც არახელსაყრელ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მომხმარებლების პოპულაციის ზრდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამ მძიმე ტვირთის საპასუხოდ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO), შეიმუშავა ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერების მოხმარების სკრინინგ-ტესტები პაციენტთა ადრეული იდენტიფიცირებისა და პირველად ჯანდაცვაში ინტერვენციების დასაწერად.

პირველადი ჯანდაცვის ექიმების უმეტესობა არ გამოხატავს ნარკოტიკების მომხმარებელ პაციენტებთან მუშაობის მზაობას და მომხმარებელ პაციენტებს მიიჩნევენ რთულ პოპულაციად. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლების დამოკიდებულების და ცოდნის შეფასება სამომავლოდ შესაბამისი ტრენინგ მოდულების დასაწერად.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ცოდნა, საჭიროებები, მიმდინარე პრაქტიკა, მოსაზრებები და მათი მზაობა წამალდამოკიდებულ პირთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში, რათა სამომავლოდ დაინერგოს ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი პაციენტებისთვის ინტეგრირებული ზრუნვის მოდელი, სკრინინგისთვის საჭირო ინსტრუმენტები და პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლების მიერ მოხდეს უწყვეტი ზრუნვისა და რეფერალური პროტოკოლების დანერგვა საოჯახო მედიცინაში.

**კვლევის მეთოდი:** კვლევის მონაცემების შესაგროვებლად ჩატარდა პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლების რეკრუტირება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ N=96 რესპონდენტმა. მათ შორის იყვნენ ექიმები, ექთნები და პირველადი ჯანდაცვის სერვისის პროვაიდერები. შემუშავდა 71 კითხვისგან შემდგარი სტრუქტურირებული კითხვარი და გადაეგზავნა რესპონდენტებს ონლაინ.

**შედეგები/დასკვნა:** კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნების ცოდნა ადიქციების და სკრინინგ ტესტების მიმართ ფრაგმენტულია. რესპონდენტების ნახევარს (44,8%) არ შეუძლია ამოიცნოს ოპიოიდებით გამოწვეული ინტოქსიკაციის ნიშნები და არ აქვთ ინფორმაცია (50%) ზედოზირების შემთხვევებში მედიკამენტ ნალოქსონის გამოყენების შესახებ. პაციენტებში პრაქტიკულად არ ხდება მოხმარების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება. ექიმები თავს არიდებენ კანაფის, არალეგალური ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების შესახებ კითხვების დასმას.

ზიანის შემცირებისა და ჩანაცვლებითი თერაპიის მიმართ არც ისე სარწმუნო დამოკიდებულება აქვთ. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი თავს არიდებს პასუხს (ოჩთ-28%; ზიანის შემცირება- 37%), ნახევარი კი ფიქრობს, რომ ზიანის შემცირების პროგრამები და ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია გარკვეულწილად ეფექტურია (ოჩთ-46%; ზიანის შემცირება 45%). აღსანიშნავია ისიც, რომ ექიმები და ექთნები საკუთარ პასუხისმგებლობად თვლიან მოახდინონ იდენტიფიცირება ან პრობლემური მომხმარებლების სისტემური სკრინინგი ალკოჰოლისა და თამბაქოს შემთხვევაში მეტად ვიდრე, დანარჩენი სხვა ნივთიერებების შემთხვევაში.

## Abstract

**Introduction:** In the healthcare system, primary care physicians have the opportunity to identify the disease at an early stage and ensure correct and timely treatment by referring the patient to the appropriate physician-specialists. Educating the public and raising public awareness about the key risk factors that adversely affect human health is one of the key functions of public health.

The growing population of psychoactive substance users is considered a significant public health problem. In response to this heavy public health burden, the World Health Organization (WHO) has developed alcohol, tobacco, and substance use screening tests for early patient identification and intervention.

Most primary care physicians do not express a willingness to work with drug-using patients and consider consumer patients to be a difficult population. That is why important to assess the attitude and knowledge of primary health care providers in order to implement a relevant training module in the future.

**Aim of the research:** The objective of the research is to study the knowledge, needs, current practices, opinions, and readiness of primary health care specialists in Georgia in the process of diagnosis and treatment of drug addicts, in order to introduce integrated alcohol and drug users in the future.

**Research Method:** Quantitative research and cross-sectional method conducted to collect research data. Primary health care representatives were recruited, with the help of the Family Medicine Association. A total of N = 96 respondents participated in the study. Among them were doctors, nurses, and primary health care providers. A structured questionnaire consisting of 71 questions was developed and sent to the respondents online.

**Results / Conclusion:** Based on the results of the study, the knowledge of primary care physicians and nurses regarding addictions and screening tests is fragmentary. Half of the respondents (44.8%) could not recognize the signs of opioid intoxication and had no information (50%) about the use of naloxone in cases of overdose. Consumption information is practically not specified in patients. Doctors are reluctant to ask about cannabis, illicit, and psychotropic drugs.

They have a distrusting attitude toward harm reduction and Methadone maintenance

treatment. Almost half of the respondents avoid the answer (methadone maintenance treatment-28%; harm reduction-37%), and half think that harm reduction programs and methadone maintenance treatment are partially effective (methadone maintenance treatment-46%; harm reduction-45%). It should also be mentioned that physicians and nurses consider their responsibility to identify alcohol and tobacco users more than other substances.

## მადლობა

მადლობას ვუხდის სამაგისტრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელს, ბატონ დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლიერებას გამოვხატავ საოჯახო მედიცინის ასოციაციის მიმართ, რომელთა დახმარების გარეშეც ვერ მოხდებოდა კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რეკრუტირება. ასევე თითოეული რესპონდენტის მიმართ, მათ მიერ დაფიქსირებული გულწრფელი პასუხების, დათმობილი დროისა და კვლევაში მიღებული მონაწილეობისთვის.